უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 20 00402809

22/05/2020

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტ ის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლ ის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ 205304357) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

2. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 22 მაისის № MES 3 20 00402628 სხდომის ოქმი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 8 მაისიდან.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარე
სხირტლაძე ნუგზარ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ



დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)	ქართული	სპორტის ბაკალავრი 1014	240	აკრედიტებული	№ 67 22.07.2015
2	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)	რუსული	სპორტის ბაკალავრი 1014	240	აკრედიტებული	№ 68 22.07.2015
3	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0413	240	აკრედიტებული	№ 63 07.03.2019
4	მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი	ქართული	-	60	აკრედიტებული	№ 172 28.11.2018
5	ქართული ენის მომზადების	ქართული	-	60	აკრედიტებული	№ 207 19.11.2019
6	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)	ქართული	სპორტის მაგისტრი 1014	120	ავტორიზებული	№ 12 05.19.2014
7	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი სპორტის მენეჯმენტში 0413	120	ავტორიზებული	№ 12 05.19.2014
8	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ქართული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი 0915	240	აკრედიტებული	№ 69 22.07.2015
9	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	რუსული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი 0915	240	აკრედიტებული	№ 70 22.07.2015
10	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ქართული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი 0915	240	ავტორიზებული	№ 12 05.19.2014